

ენა და ენათმეცნიერება

მეტყველების თემა-რემატული სტრუქტურა, წინადადების
აქტუალური დანაწევრების თეორია და არქიტექსტის რობლემა

ეკატერინე ჯულაკიძე

ekaterine.julakidze@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

წინამდებარე სტატიში განხილულია წინადადების აქტუალური დანაწევრების თეორია და მისი ორგანული კავშირი არქიტექსტის პრობლემატიკასთან. წარმოდგენილი აგრეთვე დიალოგის ის ზოგადენობრივი საფუძველი, რომელის გარეშე შეუძლებელია არქიტექსტის კონცეპტუალიზაცია და მოდელირება. თემა-რემატულობის სტრუქტურის კონცეპტი თავისი წარმოშობითა და შინაარსით უკავშირდება წინადადებას როგორც შინაარსობრივი „დატვირთვის“ პრობლემას. და სწორედ ამიტომ – წინადადების აქტუალური დანაწევრების პრობლემატიკას. თემა-რემატულობა როგორც ენობრივი მოვლენა „ვერ ეტეოდა“ წინადადების ფარგლებში. მაგრამ, ამ შემთხვევაში არ უნდა იყოს საკმარისი პრობლემის უბრალო გადატანა წინადადების დონიდან ტექსტის დონეზე. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს არის ის პრობლემათა ერთობლიობა, რომლებმაც მიიყვანა თანამდეროვე ლინგვისტიკა **ტექსტის** ვერბალური კომუნიკაციის უმაღლეს ერთეულად აღიარებამდე. არქიტექსტის პრობლემასთან დაკავშირებული ამოცანის გადასაჭრელად აუცილებელია, განხილულ იქნას თემა – რემატულობასთან დაკავშირებული პრობლემატიკა, სადაც **სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა** გადამწყვეტ როლს თამაშობს თემა-რემატული სტრუქტურის არქიტექსტის კონცეპტში გადასატანად.

საკვანძო სიტყვები: არქიტექსტი, კომპოზიციური სამეტყველო ფორმა, თემა-რემატული სტრუქტურა, ვერბალური ვერტიკალი.

წინამდებარე სტატიში განხილულია წინადადების აქტუალური დანაწევრების თეორია და მისი ორგანული კავშირი არქიტექსტის პრობლემატიკასთან.

ვფიქრობ, აგრეთვე, საინტერესოაა წარმოდგენილი დიალოგის ის ზოგადენობრივი საფუძველი, რომელის გარეშე შეუძლებელია არქიტექსტის კონცეპტუალიზაცია და მოდელირება. ამგვარ

ე. ჯულაყიძე

ზოგადენობრივ სტრუქტურად მივიჩნიეთ თემა-რემატული სტრუქტურა. თემა-რემატულობის სტრუქტურის კონცეპტი თავისი წარმოშობითა და შინაარსით უკავშირდებოდა (და დღესაც უკავშირდება) წინადადებას როგორც შინაარსობრივი „დატვირთვის“ პრობლემას. და სწორედ ამიტომ – წინადადების აქტუალური დანაწევრების პრობლემატიკას. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს არის ის პრობლემათა ერთობლიობა, რომლებმაც მიიყვანა თანამედროვე ლინგვისტიკა **ტექსტის** ვერბალური კომუნიკაციის უმაღლეს ერთეულად აღიარებამდე (თევდორაძე 2010: 52). სხვანაირად რომ ვთქვათ, თემა-რემატულობა როგორც ენობრივი მოვლენა „ვერ ეტეოდა“ წინადადების ფარგლებში. მაგრამ, ამ შემთხვევაში არ უნდა იყოს საკმარისი პრობლემის უბრალო გადატანა წინადადების დონიდან ტექსტის დონეზე. აუცილებელი ხდება აქტიური დანაწევრება არსებითად და ექსპლიციტურად უკავშირდებოდეს, ერთის მხრივ, დიალოგურობას, მეორეს მხრივ კი, იმ მეტაპარადიგმას, რომელიც უკვე იქნა ნახსენები როგორც **ანთროპოცენტრისტული მეტაპარადიგმა** (ლევიנסონი 1997: 58). აქვე მინდა შეგახსენოთ არქიტექსტის ყველაზე გავრცელებული განმარტება, რათა მარტივად აღვიქვათ და გავითავისოთ მისი კავშირი თემა-რემატულ სტრუქტურასთან. არქიტექსტის კონცეპტი და მოდელი წარმოადგენს აზრობრივ კონსტრუქტს, რომელიც პირდაპირი გაგებით არ ეკუთვნის **არც სისტემას და არც დისკურსს**, ისევე წარმოადგენს ორი ენობრივი რეალობის დამაკავშირებელ აბსტრაქტულ ფორმულას, რომლის საშუალებითაც ხდება ენის როგორც სისტემის აქტუალიზაცია. არქიტექსტის პრობლემასთან დაკავშირებული ამოცანის გადასაჭრელად, აუცილებელია განვიხილოთ თემა-რემატულობასთან დაკავშირებული პრობლემატიკა ისე, როგორც იგი წარმოდგენილია თანამედროვე ლინგვისტიკაში, წარმოადგინოთ იგი შემდეგი სამი ეტაპის გავლით: ჯერ დავაკონკრეტოთ, თუ როგორ განიმარტება თანამედროვე ლინგვისტიკაში ის ფენომენი, რომლის გარეშე ვერ იარსებებდა თავად თემა-რემატულობა, ანუ განვიხილოთ წინადადების აქტუალური დანაწევრების თეორია და შემდეგ განვასხვავოთ **თემის** შემდეგ კი **რემის** ლინკვისტური ცნებები.

მართალია, თემა-რემატულობის, და, შესაბამისად, აქტუალური დანაწევრების თეორიის გარეშე შეუძლებელია არქიტექსტის პრობლემისადმი ისეთი მიდგომა, რომელიც ერთდროულად იქნება ინტერდისციპლინარული და ლინგვისტურად კონცენტრირებულიც, მაგრამ სწორედ ამგვარი მიდგომის გათვალისწინებით აუცილებელი ხდება აღვნიშნოთ წინააღმდეგობრივი ფაქტი: არქიტექსტის ფენომენი

ნებისმიერ შემთხვევაში უნდა წარმოადგენდეს **ტექსტობრივ** ფენომენს, მაგრამ როგორც საყოველთაოდ ცნობილია, აქტუალური დანაწევრების თეორია (და, შესაბამისად, თემისა და რემის ცნებები) უკავშირდება **წინადადებას და არა ტექსტს** (და ამიტომაც, როგორც წესი, მსჯელობა ეხება წინადადების აქტუალურ დანაწევრებას). აქედან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ არქიტექსტის ფენომენის კონცეპტუალიზაციისა და მოდელირების პროცესში ერთნაირად უნდა იყოს რეალიზებული ინტერდისციპლინარულობა და ლინგვისტურად ცენტრირებულობაც, ერთდროულად აუცილებელია აქტუალური დანაწევრების როგორც თეორიის **შენარჩუნება** და ამავე დროს **განახლებაც**. განახლება კი, როგორც უკვე დავრწმუნდით, მსგავსი ენობრივი სტრუქტურა, რომელიც თავის თავზე აიღებს ე.წ. „მისადაგების“ ფუნქციას, უნდა მივიჩნიოთ **სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა**.

დავუბრუნდეთ თემისა და რემის ლინგვისტური ცნებების ტრადიციულ განმარტებებს. თემა არის წინადადების აქტუალური დანაწევრების ის კომპონენტი, ანუ ის ამოსავალი პუნქტი, რომელთა მიმართებაშიც რაღაცის მტკიცება ხდება მოცემულ წინადადებაში (შევაკოვა 1990:507). როგორც ვხედავთ, თემა როგორც აქტუალური დანაწევრების კომპონენტი მართლაც უკავშირდება უშუალოდ **წინადადებას**, მაგრამ შემდეგი ნიშნით: იმის გამოსაყოფად, რის შესახებაც რაღაც მტკიცება ხდება. სწორედ ამ მეორე მომენტზე დაყრდნობით აუცილებელია გავიხსენოთ ის, რის გარეშეც წამყვან კომუნიკაციურ ერთეულად ვერ იქნებოდა აღიარებული სწორედ ტექსტი (და არა წინადადება). ის, რის შესახებაც ხორციელდება მტკიცება (ან, უნდა მდგომარეობდეს ამ თეორიის ტექსტობრივ რეალობასთან სრულ მისადაგებაში), მთელი თავისი რეალური სისავსით შეიძლება იყოს წარმოდგენილი მხოლოდ ტექსტით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აქტუალური დანაწევრების თეორიაც უნდა მიესადაგოს სწორდ ტექსტს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ამ თეორიის ერთდროულად შენარჩუნებისა და განახლების გზით.

რაც შეეხება ჩვენთვის აუცილებელ მეორე ცნება-კონცეპტს, ანუ რემას, ისიც, ბუნებრივია, უკავშირდება წინადადების აქტუალური დანაწევრების თეორიას. რემა არის წინადადების აქტუალური დანაწევრებას ის კომპონენტი, რომლის საშუალებით **რაღაცა** მტკიცდება ვერბალური გზავნილის ამოსავალი პუნქტის შესახებ (შევაკოვა 1990:410). როგორც რემის ამ განსაზღვრიდან ჩანს, მისი გააზრება უნდა მოხდეს თემის გააზრებასთან ერთად, რაც უნდა ნიშნავდეს შემდეგს: შეუძლებელია

ე. ჯულაყიძე

ორივე ამ ფენომენის – თემისა და რემის – ერთობლივი გააზრება მხოლოდ წინადადების ფარგლებში, რადგან წინადადება თავად წარმოადგენს მეორე და უფრო „ტევადი“ ერთეულის, ანუ ტექსტის შემადგენელ ნაწილს.

წარმოდგენილი მსჯელობიდან შეილება დავძინოთ, რომ ა) ტექსტის (და არა წინადადების) აქტუალური დანაწევრება უნდა უკავშირდებოდეს მოცემული ტექსტისთვის არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულად არსებულ თემას, ხოლო, რაც შეეხება რემას, მისი სემანტიკა მთლიანად იქნება დაკავშირებული ამ კონკრეტულ თემასთან; ბ) მაგრამ, არ არსებობს ტექსტი, რომლის თემა (თუ თემატიკა) არ იქნება დაკავშირებული და დაქვემდებარებული ამა თუ იმ კონკრეტულ ჟანრს, სხვაგვარად ტექსტის თემატურობაზე მსჯელობა მოკლებული იქნება რეალურ საფუძველს. მაგრამ, როგორც ვიცით, ჩვენი კვლევის ლინგვისტური ცენტრირებულობაც გარანტირებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება ადეკვატურად კონსტრუირებული არქიტექსტის ის კონსტრუქტი, რომლის საშუალებითაც ესა თუ ის ჟანრი რეალურად დაუკავშირდებოდა მისდამი დაქვემდებარებულ ტექსტობრივ სივრცეს.

ბუნებრივია, ყოველი თემა–რემატული სტრუქტურა თავის მხრივ უნდა წარმოადგენდეს ისეთი უნივერსალური სამეტყველო ფენომენის აქტიურ დანაწევრებას, რომლის გარეშე, და სწორედ ამაზე მეტყველებს დისკურსის თანამედროვე ზოგადი თეორია, წარმოუდგენელია თავად მეტყველება როგორც საკომუნიკაციო აქტი. ასეთ უნივერსალურ ენობრივ ფენომენს კი წარმოადგენს **სამეტყველო კომპოზიციური ფორმა**. სამეტყველო კომპოზიციურ ფორმის წარმოსადგენად საჭიროა ავღნიშნოთ, რომ ყოველი ჩვენი გამონათქვამი სწორედ იმიტომ რომ წარმოადგენს ტექსტს უნდა იყოს:

- ან რაიმეს მტკიცება
- ან რაიმეს აღწერა
- ან რაიმეზე მსჯელობა

და თუ ყოველი ტექსტი უნდა წარმოადგენდეს ამა თუ იმ სამეტყველო კომპოზიციურ ფორმას, მაშინ თავისთავად აუცილებელი ხდება, რომ ნებისმიერი მტკიცება, აღწერა თუ მსჯელობა ეფუძნებოდეს გარკვეული შინაარსის თემა–რემატულ ურთიერთმიმართებას. (რა თქმა უნდა, ამ ფენომენის ტექსტობრივი გაგებით). როგორც სამეტყველო კომპოზიციურ ფორმათა თეორიის ფარგლებში ითქმის, „სინამდვილის აღქმისას ადამიანის ცნობიერება ავლენს თავის აქტიურ ბუნებას. . . ან ხდება სინამდვილის როგორც ფაქტის ფიქსირება, ან ხდება არჩევანი, ანდა

შეფასება“ (შევაკოვა 2009:14). შესაბამისად კი ტექსტის თანამედროვე თეორიაში გამოიყოფა სამი შემდეგი კომპოზიციური ფორმა: **შეტყობინება, აღწერა, მსჯელობა**. ეს სინამდვილის აღქმის სწორედ ის ბაზისური ფორმებია, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება ამ სინამდვილის ტექსტობრივი ასახვა (შევაკოვა 2009:14).

კომპოზიციურ ფორმათა თეორიაში თავად კომპოზიციური ფორმები ხასიათდება შემდეგნაირად:

- კომპოზიციური ფორმა „შეტყობინება“ – წარმოადგენს ისეთ აბსტრაქტულ შინაარსობრივ ტიპს, როგორიცაა „ხდომილება“;
 - კომპოზიციური ფორმა „აღწერა“ – წარმოადგენს ისეთ აბსტრაქტულ შინაარსობრივ ტიპს, როგორიცაა „საგანი“;
 - კომპოზიციური ფორმა „განმარტება (მსჯელობა)“ – წარმოადგენს ისეთ აბსტრაქტულ შინაარსობრივ ტიპს, როგორიცაა „პრობლემა“;
- ყოველი შინაარსობრივი ტიპი სტრუქტურირებულია. მათი ამ სტრუქტურის საფუძველს კი წარმოადგენს სივრცის, დროის და მიზეზობრიობის კრიტერიუმები (შევაკოვა 2009:14).

სამეტყველო კომპოზიციურ ფორმათა ჩამოყალიბებული ასპექტები სქემატურად შემდეგნაირად გამოიყურება:

სამეტყველო კომპოზიციური ფორმები ელემენტები	ლოგიკური ინვარიანტები			
	აბსტრაქტული ტიპი	ფუნქციონალური სტრუქტურა		
		დროითი (დრო)	სივრცითი (სივრცე)	მიზეზობრივი (მიზეზი)
შეტყობინება	ხდომილება	+	-	-
აღწერა	საგანი	-	+	-
განმარტება/ მსჯელობა	პრობლემა	-	-	+

კომპოზიციური ფორმა „შეტყობინება“ და „აღწერა“ უშუალოდ მიესადაგება ინფორმაციულ კატეორიას. „განმარტება (მსჯელობა)“ კი, ბუნებრივია, ასევე მთლიანად მიესადაგება ანალიტიკურ ჟანრთა კატეგორიას. რაც შეეხება მხატვრულ-პუბლიცისტურ ჟანრთა კატეგორიას, მან შეიძლება „დაიტოს“ თავის თავში ნებისმიერი სამეტყველო

ე. ჯულაყიძე

კომპოზიციური ფორმა. ნებისმიერი რეპლიკა უნდა წარმოვიდგინოთ ამა თუ იმ სამეტყველო კომპოზიციური ფორმის სახით, ხოლო თავად ამ კომპოზიციური ფორმას დავუქვემდებარებთ **ტექსტობრივად** გაგებულ აქტუალურ დანაწევრებას. შესაბამისად არქიტექსტი წარმოადგენს ისეთ აზრობრივ კონსტრუქტს, რომელიც თავისი ფუნქციური როლით მოიაზრება ენობრივის სისტემის დამტკიცებელი ინტერსტრუქტურის, რომელიც თავის მხრივ ემსახურება დისკურსის ამა თუ იმ ტიპთა და ქვეტიპთა „გატექსტებას“. არქიტექსტის მოდელი განზომილებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ვერტიკალს სადაც მისი შემადგენელი ნაწილები „დონეები“ იმყოფებიან ერთმანეთთან როგორც დიალოგურობის, ასე „შეჯახების“ რეჟიმში. არქიტექსტის მოდელის შემადგენელ დონეები „ზედა“ და „ქვედა“ დონის სახით ფუნქციონირებს, ამ ორი დონიდან ერთი უნდა მოიცავდეს ინტერდისციპლინარულობისა და ინტერპარადიგმულობის ისეთ ინტეგრაციას, რომლის ფარგლებშიც ინტერტექსტუალურობის პარადიგმა შეინარჩუნებს ლიდერობას, ასევე არქიტექტის ფუნქცია იყოს ლინგვისტურად ცენტრირებული, ეს ცენტრირებულობა კი უნდა გულისხმობდეს დიალოგის რეპლიკური სტრუქტურისა და სამეტყველო ვერტიკალის სინთეზს. სამეტყველო ვერტიკალის თავის მხრივ გულისხმობს დიალოგურ რეპლიკათა ისეთ ხედვას, როცა მათი სტრუქტურა მოიცავს თემა რემტულობისა და კომპოზიციურობის ურთიერთზემოქმედებას. თემა-რემატულობის, და, შესაბამისად, აქტუალური დანაწევრების თეორიის გარეშე შეუძლებელია არქიტექსტის პრობლემისადმი ისეთი მიდგომა, რომელიც ერთდროულად იქნება ინტერდისციპლინარული და ლინგვისტურად კონცენტრირებულიც, მაგრამ სწორედ ამგვარი მიდგომის გათვალისწინებით აუცილებელი ხდება აღვნიშნოთ წინააღმდეგობრივი ფაქტი. არქიტექსტის ფენომენი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა წარმოადგენდეს **ტექსტობრივ** ფენომენს, მიუხედავად იმისა რომ, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, აქტუალური დანაწევრების თეორია (და, შესაბამისად, თემისა და რემის ცნებები) უკავშირდება **წინადადებას და არა ტექსტს**. წამოდგენილმა მსჯელობამ, ვფიქრობ ლუგიკურად მიგვიყვანა არქიტექსტის პრობლემატიკის ჩართვის შემთხვევაში თემა-რემატულის სტრუქტურის და წინადადების აქტუალური დანაწევრების თეორიის ტექსტობრივი (და არა წინადადების) განხივლის აუცილებლობასთან, რაშიც მდგომარეობს ამ თეორიების ლინგვისტური განახლება და მოდერნიზაცია.

ლიტერატურა

- თევდორაძე, ნინო. 2010. „ტექტის ლინგვისტიკა“. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- Levinson, Stephen. 1983. “Pragmatics”, Cambridge University Press.
- Шевакова В. 1990. Тема in: Лингвистический энциклопедический словарь. Москва, “Советская энциклопедия“.

Language and Linguistics

Theme and rheme structure of the speech, the theory of actual division of the sentence and the problem of architext

Ekaterine Julakidze

ekaterine.julakidze@atsu.edu.ge
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

*In the article we will analyze the theory of actual division of the sentence and its connections to the problem of architext. Conceptualization and modeling of architext mainly relies on the general basis of dialogue, consequently we should refer to the theme and rheme structure that is originally and contextually connected to the sentence, and it leads us to the theory of actual division of the sentence. More specifically, the sentence as a structure was “not enough” for the theme and rheme structure as a linguistic phenomenon, consequently it is not also enough just to transfer the problematic issue from sentence level to the context one. The most common definition of the architext reveals its connection to the theme and rheme structure. Therefore, the renewal of the system of actual division the sentence is utterly important. The renewal that carries out the function of this transformation is possible by means of **compositional speech forms**.*

Keywords: *Architext, composition speech forms, theme-rheme structure, verbal vertical.*

In the article we will analyze the theory of actual division of the sentence and its connections to the problem of architext. Conceptualization and modeling of architext mainly relies on the general basis of dialogue, consequently we should refer to the theme and rheme structure that is originally and contextually

connected to the sentence, and it leads us to the theory of actual division of the sentence. The unity of all these problematic issues leads to the recognition of the **text** as the highest unit of the verbal communication (Tevdoradze. 2010: 52). More specifically, the sentence as a structure was “not enough” for the theme and rheme structure as a linguistic phenomenon, consequently it is not also enough just to transfer the problematic issue from sentence level to the context one. In this case the theory of actual division of the sentence should be closely and explicitly connected to dialogue in one hand and to the anthropocentric metaparadigm (Levinson. 1997:58) on the other hand. The most common definition of the architext reveals its connection to the theme and rheme structure. The concept and model of architext is a conceptual construct that literally belongs neither to the system, nor to the discourse, it is an abstract formula connecting two linguistic realities by which language as a system is realized. Without theme and rheme structure and actual division of the sentence the problematic issue of architect could not be simultaneously interdisciplinary and linguistically centered, so the phenomenon of the architext basically is the **textual phenomenon**, and we know that the theory of actual division of the sentence and theme and rheme concepts as well, both are connected to **the sentence** and **not to the text**. Therefore, the renewal of the system of actual division of the sentence is utterly important. The renewal that carries out the function of this transformation is possible by means of **compositional speech forms**.

We should define the concept of the theme and the rheme. The traditional definition of **the THEME** by V. Shevakova is the theme is a component of actual division of the sentence in relation to which something is asserted in the given sentence, hence theme as a major component of actual division of the sentence primarily connected to the sentence. But we should take into consideration that something can be asserted clearly and definitely by means of the **text** and not by means of the sentence. Consequently, the actual division of the sentence should be connected to the text, that is the renewal of the abovementioned concept.

As to the next concept - **the RHEME** – it is also connected to the actual division of the sentence and it is a component by which something is asserted about the main point of the verbal message. This definition is closely connected to the definition of the theme and they both could be adequately accepted in the frame of the **text** not in the sentence. And the sentence itself is a part of more extensive unit – the text.

The theme and the rheme structure of the sentence is a reflection of the universal verbal phenomenon like the **compositional speech forms**. To present

the compositional speech forms we should admit that any expression represented in the **text** should be either:

- Proving of something
- Describe of something
- Discussion

As any text is a reflection of composition speech form it is obvious that any description or discussion is based on the theme-rheme interaction (in the frame of text). As it is said in the theory of composition speech form “while perceiving reality, the human consciousness reveals its active nature...either the reality is fixed as a fact, or a choice is made, or an assessment is made” (Shevakova 2009:14). Hence, there are three composition forms in modern theory of text: **message, description, reasoning**. These are basic forms of perception of reality, and by means of them textual reflection of reality is possible (Shevakova 2009:14). Any replica should be produced in the form of any type of composition speech form and the composition speech form will be subjected to be the actual division understood **textually**.

All in all as we consider the architext as a conceptual construct that by its functional role is between the language system and the textual sphere that serves to the textualization of any types of discourses. The model of architext from a dimensional point of view, represents a vertical and its constituent parts, so called “levels” are in dialogic as well as “collision” mode with each other. These levels are functioning in the frame of “upper” and “lower” levels. One level should combine integrity of interdisciplinarity and interpharadigmatic phenomenon where intertextual paradigm will maintain the leadership. The other function of the architext is to be linguistically centered, and this should be reflected in the synthesis of the replica system of the dialogue and speech vertical. The speech vertical itself considers the replica system of the dialogue as a combination of the theme and rheme system and the composition speech forms. Without the theme and rheme system and the composition speech forms architext as a conceptual construct could not be at the same time linguistically centered and interdisciplinary. The controversial issue of this aspect is that architext as a concept is a textual phenomenon and whereas the theme and the rheme system and the composition speech forms are related to the sentence rather than a text. To sum up, the concept of architext logically deals with the refreshment and renewal in the approaches of the theme and rheme system and the composition speech forms, consider them in the frame of the text rather than in the sentence scheme.